

## კავკასიონის კახეთის სეგმენტის მადნიანი მინერალიზაციის პოტენციალი

გიორგი მინდიაშვილი

[giorgi.mindiashvili030@ens.tsu.edu.ge](mailto:giorgi.mindiashvili030@ens.tsu.edu.ge)

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ქუჩა N13

ჩვენი ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის ათვისების ისტორიის და მასშტაბების გათვალისწინებით მომავალში რა თქნა უნდა გაძნელებდა ახალი აღმოჩენები და სავარაუდოდ მათი რაოდენობაც. აღნიშნულიდან გამომდინარე შემდგომში აუცილებელია სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიების ოპტიმალური მეცნიერული მეთოდების შერჩევა, რომელიც დაფუძნებული იქნება კომპლექსურ კვლევებზე.

ნაშრომში განხილულია კავკასიონის კახეთის სეგმენტის მაგალითზე მადნიანი მინერალიზაციის პოტენციალი. აღნიშნული სეგმენტი ძირითადად აგებულია ინტენსიურად დანაოჭებული და დამსხვრეული ქვედა იურული თიხა ფიქლებით, ქვიშაქვებით, მცირე რაოდენობით კარბონატული ქანებით და დაციტ-ანდეზიტ-ბაზალტური განფენებით, რომლებიც რელიეფში ქმნიან საერთო კავკასიური მიმართების, სამხრეთით გადმოწოლილ კახეთის ანტიკლინურ სტრუქტურას. ამ ტერიტორიაზე ცნობილია საერთო სუბგანედური მიმართების მრავალრიცხოვანი ჰიდროთერმულად შეცვლილი ზონები, რომელთა გეოლოგიური შესწავლის შედეგად შესაძლებელია მომავალში გამოვლინდეს სამრეწველო მნიშვნელობის საბადო.

### ლიტერატურა

1. Акимидзе и др. (1980) Отчет поисковых работ м-ба 1:25000 в пределах медно-пирротинового пояса Кахетии в междуречье Лопота-Алазани за 1975-80г.г. Фонди геолдеп. Грузии. С.235.
2. A. Okrostsvaridze, K. Akimidze, a. Akimidze, D. Bluashvili (2011), Bull. Georg. Acad. Sci., 5, 2: 76-82.A
3. Kuchava E., Melikishvili T., Benidze G., 1983. Отчет о результатах общих поисков м-ба 1:25000 в северной полосе ниже и среднеюрских отложениях междуречья Челти-Алазани по работам 1980-83г.г. С.214. Фондигеолдеп. Грузии. С.235.
4. K. Akimidze (2010), Al. Janelidzis Geologiis Institutis Shromebi. Axali Serias, T. 125: 164-172.
5. ნ. გაგნიძე. კავკასიონის კახეთის სეგმენტის მაგმატიზმი და მადნიანი მინერალიზაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 2015.
6. Zhu Liangpu, Geologic remote sensing, 1994
7. Carlos A. Torres. Mineral exploration using GIS and processed after images. Advance GIS EES 6513 (spring 2007) University of Texas at San Antonio.